

ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა თბილისის  
საავადმყოფოებში

სოფიო ბელიევი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (სადაზღვევო  
საქმე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა „სადაზღვევო საქმე“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,  
სრული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*სოფიო ბელიევი*

*13.06.2014*

## აბსტრაქტი

ევროპაში, პრაქტიკულად, არ არსებობს პროფესია, რომელსაც არ აქვს პასუხისმგებლობის დაზღვევა. მით უმეტეს, ეს ეხება ისეთ პროფესიებს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანების სიცოცხლესთან.

საქართველოში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას.

ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როცა პაციენტები ექიმებს არასწორი მკურნალობის გამო უჩივიან და ხშირია სასამართლო დავები. შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, ამიტომ რისკები მართული უნდა იყოს და დაზარალებულს მიყენებული ზიანი დროულად უნდა აუნაზღაურდეს. პოლისით ანაზღაურდება ის ზიანი რაც ექიმს, ან ექთანს სასამართლოს მიერ დაეკისრება.

დღესდღეისობით საქართველოში 16 სადაზღვევო კომპანიიდან 4 მათგანი სთავაზობს ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას მომხმარებელს. ესენი არიან: „არდი ჯგუფი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“, „ალდაგი ბი სი აი“, „უნისონი“, „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“.

ჩატარებული კვლევებით გაირკვა, რომ ყველაზე მოთხოვნადი, აღნიშნული ტიპის დაზღვევა, ქირურგების მხრიდანაა. ყველაზე პოპულარული მზღვეველები „არდი ჯგუფი“ და „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგია.

ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია გავხადოთ ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა პოპულარული ექიმებში, რათა შემთხვევის დადგომის შემთხვევაში დაიცვან თავიანთი თავი და პაციენტი მაღალი ფინანსური ზარალისგან.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, დაზღვევის თავისებურებები, სარჩელისათვის გათვალისწინებული დაზღვევა, საქართველო, მედიაციის სამსახური.